განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში აბანოს ქ.#2-ში და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ძირითადი შენობა გეგმაში Г-ს კონფიგურაციისაა. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება ლეღვთახევი, ხოლო სამხრეთიდან აბანოს ქუჩა, აღმოსავლეთიდან კი ბოტანიკური ქუჩაზე არსებული შენობა. შენობა 2 სართულიანია - სარდაფით.

ადგილზე შესწავლის და აგრეთვე უზბეკ ხელოსანთან (კონკრეტულად 80-იან წლებში რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზე უშუალოდ დასაქმებული რავშან ხალიმოვი - სამარყანდიდან) კონსულტაციის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სიცარიელე რომელიც არსებობს არსებულ აგურის სვეტსა და თაბაშირის პერანგს შორის. ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად გამოკვლეული იქნა დაზიანებული ნახევარწრიული სვეტის შორენკეცებიანი საპირე ზედაპირი. საკვლევი სვეტი შედგება ორი ელემენტისაგან. პირველი აგურის მრგვალი მზიდი სვეტი მზიდი კონსტრუქცია, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა პატარა გუმბათი და მეორე თაბაშირის ნახევარწრიული პერანგი შეკრული გლინულა არმატურით Ф8 AIII კლასი აწყობილი ბადე 10X20 სმ -იან უჯრედით, რომელიც დაკავშირებულია აგურის მრგვალ მზიდ სვეტთან. ბადე დაკავშირებულია აგურის მრგვალ სვეტთან ჩანგლებით (ე.წ. „შპილკებით“). გარეთა თაბაშირის პერანგი მოზაიკით აწყობილია სექციებად. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ეს მონაცემები შემსრულებელთან კომუნიკაციის შედეგად დადასტურდა.

ადგილზე კვლევის და უზბეკ ხელოსნებთან კონსულტაციის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სიცარიელე რომელიც არსებობს აგურის სვეტსა და თაბაშირის პერანგს შორის პირველი სექციის სიმაღლის ნახევრამდე შეიძლება ამოივსოს გასამაგრებელი მასით. სიცარიელის მოწყობა აგურის მრგვალ სვეტსა და თაბაშირის შორენკეცებიან პერანგს შორის საჭირო იყო იმიტომ რომ თაბაშირის პერანგი და აგურის კედელი კუმშვაზე მუშაობს სხვადასხვაგვარად. ასევე არსებობს ეჭვი, რომ ბეტონის ახლად მოწყობილი კიბე, რომელიც ადის სასტუმრო „ხოხობთან“, აწვება მთლიანად სვეტის პირველ სექციას (სადაც უშუალო შეიმჩნევა საპირე წყობის დაზიანება) და შესაძლოა ადგილი აქვს დაწნეხვას. პერანგის დემონტაჟი ცალკე ნაწილებად დასაშვებია.

აღსანიშნავია რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად აბანოს კედლებს და გადახურვის სიბრტყეებს არ აღენიშნება ჯდენითი ან რაიმე სხვა სახის დეფორმაცია. მზიდი კონსტრუქციები საღი და ჟანმრთელია. ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, აბანოს მზიდი ელემენტების (საძირკვლი, კედლები და ა.შ.) მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის.

ინჟინერი - კონსტრუქტორი: ბორის ზარანდია

06.04.2023 წ.

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში აბანოს ქ.#2-ში და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ძირითადი შენობა გეგმაში Г-ს კონფიგურაციისაა. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება ლეღვთახევი, ხოლო სამხრეთიდან აბანოს ქუჩა, აღმოსავლეთიდან კი ბოტანიკური ქუჩაზე არსებული შენობა. შენობა 2 სართულიანია - სარდაფით.

ადგილზე შესწავლის და აგრეთვე უზბეკ ხელოსანთან (კონკრეტულად 80-იან წლებში რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზე უშუალოდ დასაქმებული რავშან ხალიმოვი - სამარყანდიდან) კონსულტაციის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სიცარიელე რომელიც არსებობს არსებულ აგურის სვეტსა და თაბაშირის პერანგს შორის. ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად გამოკვლეული იქნა დაზიანებული ნახევარწრიული სვეტის შორენკეცებიანი საპირე ზედაპირი. საკვლევი სვეტი შედგება ორი ელემენტისაგან. პირველი აგურის მრგვალი მზიდი სვეტი მზიდი კონსტრუქცია, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა პატარა გუმბათი და მეორე თაბაშირის ნახევარწრიული პერანგი შეკრული გლინულა არმატურით Ф8 AIII კლასი აწყობილი ბადე 10X20 სმ -იან უჯრედით, რომელიც დაკავშირებულია აგურის მრგვალ მზიდ სვეტთან. ბადე დაკავშირებულია აგურის მრგვალ სვეტთან ჩანგლებით (ე.წ. „შპილკებით“). გარეთა თაბაშირის პერანგი მოზაიკით აწყობილია სექციებად. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ეს მონაცემები შემსრულებელთან კომუნიკაციის შედეგად დადასტურდა.

ადგილზე კვლევის და უზბეკ ხელოსნებთან კონსულტაციის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სიცარიელე რომელიც არსებობს აგურის სვეტსა და თაბაშირის პერანგს შორის პირველი სექციის სიმაღლის ნახევრამდე შეიძლება ამოივსოს გასამაგრებელი მასით. სიცარიელის მოწყობა აგურის მრგვალ სვეტსა და თაბაშირის შორენკეცებიან პერანგს შორის საჭირო იყო იმიტომ რომ თაბაშირის პერანგი და აგურის კედელი კუმშვაზე მუშაობს სხვადასხვაგვარად. ასევე არსებობს ეჭვი, რომ ბეტონის ახლად მოწყობილი კიბე, რომელიც ადის სასტუმრო „ხოხობთან“, აწვება მთლიანად სვეტის პირველ სექციას (სადაც უშუალო შეიმჩნევა საპირე წყობის დაზიანება) და შესაძლოა ადგილი აქვს დაწნეხვას. პერანგის დემონტაჟი ცალკე ნაწილებად დასაშვებია.

აღსანიშნავია რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად აბანოს კედლებს და გადახურვის სიბრტყეებს არ აღენიშნება ჯდენითი ან რაიმე სხვა სახის დეფორმაცია. მზიდი კონსტრუქციები საღი და ჟანმრთელია. ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, აბანოს მზიდი ელემენტების (საძირკვლი, კედლები და ა.შ.) მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის.









შორენკეცების დამზადების მოკლე ტექნოლოგიური პროცედურა:

უნდა გამოიძერწოს რამოდენიმე ზომის მოდელი. გაუკეთდეს თაბაშირის ყალიბი. შემდეგ ამ ყალიბში უნდა ჩაიწნეხოს თიხა. გაშრეს და გამოიწვას 800 გრადუსზე. შემდეგ უნდა დაედოს ფერი და 1150დან-1270 გრადუსამდე უნდა გამოიწვას, რომ მივიღოთ დაახლოებითი ფერი

მხატვარ-რესტავრატორი: ჯ. ჯაფარიძე ბაბატა გიგაური

ქ.თბილისი, აბანოთუბანი, ჭრელი აბანოს რესტავრაციის პროექტი

პროექტი

მასშტაბი 1:50

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მ/პ		

დირექტორი	ი.გამყრელიძე	
არქიტექტორი	გ.სუმბაძე	
არქ.რესტავრ.	ი.გამყრელიძე	
ინჟინერ-კონსტრუქტორი	ბ.ზარანდია	

CAD style construction architecture design